ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 45

30 მაისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე. სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან არსებული ხუთი უსახელო ჩიხისთვის უნივერსიტეტის I, II, III, IV და V ჩიხების სახელების მინიჭების შესახებ
3. ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ღვთისმეტყველის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე ამირანაშვილისა და 67-ე ქუჩების ერთ დამოუკიდებელ ქუჩად გაერთიანების და წარმოქმნილი ქუჩისთვის მომღერალი პეტრე ამირანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის III შესახვევისთვის ბეჟან კალანდაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის ნადიკვრის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის II ქუჩისთვის ორთაჭალის I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან მაჭავარიანის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ლევან მაჭავარიანის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთელის ქუჩის მონაკვეთისთვის, მიხაკო წერეთლის I ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის სახელის მინიჭებას. მ/წლის აპრილის თვეში, კომისიის თავმჯდომარის,

ლევან აბაშიძის მიერ შეხვედრა გაიმართა კომპოზიტორის ოჯახის წარმომადგენლებთან. ერთობლივი კონსულტაციების შედეგად კომისიის მიერ, თემატური კონტექსტის გათვალისწინებით, სახელდებისთვის შეირჩა დავით აღმაშენებლის გამზირზე, კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირთან არსებული უსახელო სკვერი. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მეორე და მესამე საკითხები შეეხება ვაკის რაიონში განხორციელებულ სახელდებებს. კომისია განიხილავს ვაკის რაიონში , უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ წარმოქმნილი გზათა ქსელის სახელდების საკითხებს: უნივერსიტეტის ქუჩასთან არსებულ ხუთ უსახელო ჩიხს მიენიჭება უნივერსიტეტის I, II, III, IV და V ჩიხების სახელები, ასევე უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება იოანე ღვთისმეტყველის სახელი. უსახელო ქუჩა მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც მდებარეობს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარი. კომისიამ საკითხის განხილვის პროცესში ჩართო საპატრიარქოც, რათა დააფიქსირონ პოზიცია აღნიშნული სახელდების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში კომისიას მიაწოდონ სახელის ზუსტი ფორმულირება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოთხე საკითხის თანახმად, ნაძალადევის რაიონში, პეტრე ამირანაშვილის ქუჩა და 67-ე ქუჩა ერთ დამოუკიდებელ ქუჩად გაერთიანდება და წარმოქმნილი ქუჩას მიენიჭება მომღერალი პეტრე ამირანაშვილის სახელი. კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ თემქის დასახლების 69-ე ქუჩას პეტრე ამირანაშვილის სახელი 1981 წელს მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ 67-ე ქუჩა წარმოადგენდა 69-ე ქუჩის გეგმარებით გაგრძელებას, აღნიშნული ქუჩის სახელის ცვლილება არ განხორციელებულა და დღემდე 67-ე ქუჩის სახელითაა შემორჩენილი. კომისია გზათა ქსელის მოწესრიგებისა და სწორი ნუმერაციის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიიჩნევს 67-ე და პეტრე ამირანაშვილის ქუჩების გაერთიანებას და წარმოქმნილი ქუჩისთვის პეტრე ამირანაშვილის სახელის მინიჭებას. კომისიის წევრებმა აღნიშნულ სახელდებას მხარი დაუჭირეს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი შემდგი სამი საკითხი შეეხება დამისამართებას კრწანისის რაიონში: ორთაჭალის III შესახვევს მიენიჭება ბეჟან კალანდაძის ქუჩის სახელი:; ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთსს და წინანაურის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭება ნადიკვრის სახელი; წინანაურის ქუჩის მონაკვეთს და წინანაურის II ქუჩას მიენიჭება ორთაჭალის I და II გასასვლელის სახელი.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი: სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება გენერალ-მაიორის ბორის გრიგოლაშვილის სახელი. ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გენერალ-მაიორის ბორის გრიგოლაშვილის სახელის

მინიჭებას. ბორის გრიგოლაშვილმა 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი. მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება , დაჯილდოებულია 3 ორდენით და 14 მედლით.

1992 წლიდან თებერვლიდან იყო ქართულ არმიაში: საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი, 1993 ივლისიდან — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, კორპუსის სარდლის პირველი მოადგილე. 1992-1993 წლებში აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონი). მისი ხელმძღვანელობით დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა მრავალი სამხედრო ოპერაცია. იგი სასიკვდილოდ დაიჭრა და გმირულად დაიღუპა ბრძოლაში აფხაზეთის ომში. გამოჩენილი გმირული თავდადებისა და მამაცობისათვის, გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილი სიკვდილის შემდეგ 1993 წელს დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცხრე საკითხი ასევე შეეხება სამგორის რაიონში განხორციელებულ სახელდებას, კერძოდ ლევან მაჭავარიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭება ლევან მაჭავარიანის I შესახვევის სახელი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეათე და მეთერმეტე საკითხებით დამისამართდება გლდანის რაიონში მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთები: მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭება მორის ფოცხიშვილის I გასასვლელის სახელი, ხოლო მიხაკო წერეთელის ქუჩის მონაკვეთს, მიხაკო წერეთლის I ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭება საზოგადო და სამხედრო მოღვაწის დავით ვაჩნაძის სახელი. აღნიშნული სახელდებებით მოწესრიგდება გლდანის რაიონსი მიხაკო წერეთლის ქუჩის მიმდებარედ არსებული გზათა ქსელი. დავით ვაჩნაძე იყო ქართველი პოლიტიკური, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე. პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებისას დავით ვაჩნაძე უცხოეთში არ გახიზნულა და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. შედიოდა ედპ-ს არალეგალური ცკ-ს შემადგენლობაში, ასევე პარტიის სამხედრო ცენტრში. აქტიურად იყო დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმთან. 1922 წლის თებერვალში დააპატიმრეს, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო მცირე ხანში ციხიდან გაანთავისუფლეს. 1924 წლის თებერვალში საიდუმლოდ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში განმათავის. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო და ემიგრაციაში დარჩა. 1927 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. იყო ედპ-ს საზღვარგარეთული ბიუროს წევრი, განაგრძობდა აქტიურ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ და პუბლიცისტურ საქმიანობას. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესაში, მონაწილეობდა საფრანგეთის ქართული სათვისტომოს კულტურულ საქმიანობაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩართული იყო გერმანელთა მიერ ქართული ეროვნული კომიტეტის შესაქმნელად წარმოებულ საქმიანობაში.

ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა მიუნხენში. დავით ვაჩნაძე გარდაიცვალა 1962 წელს, დაკრძალულია გერმანიის ქალაქ ესენში. კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხებს.

ლევან აბაშიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე